ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N36

2014 წლის 24 სექტემბერი

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის № 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის № 19 დადგენილებაში (სსმ, 28. 07. 2014 წ.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,დ) ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი აქტებისა და ცნობის გაცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის საფუძველზე გასცემს შესაბამის ცნობას''.

მუხლი 2.

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს ,,ზ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ზ) გამგებლის წარმომადგენელს აქვს ბეჭედი და ბლანკი შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის აღნიშვნით".

მუხლი 3.

,,5) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,5. გასცემს ცნობებს საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის #46 დადგენილების შესაბამისად".

მუხლი 4.

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლიდან ამოღებული იქნას მე-5 პუნქტი.

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე